<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზვიად გამსახურდიას სახელობის სანაპიროსთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის გურამ საღარაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ზვიად გამსახურდიას სახელობის სანაპიროსთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მსახიობის გურამ საღარაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:483369 Y:4616718
X:483468 Y:4616687
X:483651 Y:4616652
ზვიად ბაბისხურდიას სახ. მარჯვენა სანაპირო
N
1:1,500



გურამ საღარაძე

(1929-2013)

მსახიობი. სახალხო არტისტი , შოთა რუსთაველის სახელობის და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

დაიბადა თბილისში. 1951 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი და ჩაირიცხა რუსთაველის თეატრის დასში.

იგი იყო თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობი. ასობით სასცენო და კინო როლის შემსრულებელს, მხატვრული კითხვის უბადლო ოსტატს ეთაყვანებოდნენ თაობები.მის მიერ შესრულებული ნებისმიერი როლი, წაკითხული ლექსი თუ მცირეოდენი პროზაული ნაწყვეტი, დაუვიწყარი და შთამბეჭდავი იყო იმისთვისაც კი, ვისაც ქართული ენა არ ესმოდა. მისი განსახიერებული როლებია: სოსო (ოთარ იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“), თესევსი, მასახარა და იულიუს კეისარი (უილიამ შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „მეფე ლირი“ და „იულიუს კეისარი“) , ჰეილი (ართურ მილერის „სეილემის პროცესი“), ტიპოტესკუ (იონ ლუკა კარაჯალეს „დაკარგული ბარათი“), დურსუნი და ჭეიშვილი (ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“ და საბრალდებო დასკვნა), მინდია (კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“), შე ფუ, თავადი ყაზბეგი, ეფრეიტორი, ბერი (ბერტოლტ ბრეხტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“ და „კავკასიური ცარცის წრე“), ტომი (ტენესი უილიამზის „შუშის სამხეცე“), გიორგი ჯაფარიძე (რევაზ თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“), უჩა (თამაზ ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, შერიფი (რუსტამ იბრაგიბეკოვი „დაკრძალვა კალიფორნიაში“, დადიანი (კარლო გოლდონი, „მშვენიერი ქართველი ქალი“) თამაშობდა „თეატრალურ სარდაფში“ კურტი (ავგუსტ სტრინდბერგის „სიკვდილის როკვა“) და კლავდიუსი (უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“)

საღარაძე ემოციური, ფართო დიაპაზონის მსახიობი და მხატვრული კითხვის ოსტატი იყო. მხატვრული კითხვისთვის მხოლოდ მას აქვს მინიჭებული უმაღლესი ეროვნული ჯილდო – რუსთაველის პრემია, მან თავსი სკოლა შექმნა მხატვრულ კითხვაში. მისი დამსახურებაა, მხატვრული კითხვა დამოუკიდებელ ჟანრად რომ დამკვიდრდა საქართველოში.

1998 წელს მიიღო ლვოვის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

1998 წელს დაჯლდოვდა ღირსების ორდენით ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

ქართული კინოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის 2006 წლის 13 ნოემბერს რუსთაველის თეატრის წინ გაიხსნა გურამ საღარაძის ვარსკვლავი.

გარდაიცვალა 2013 წლის 17 იანვარს 84 წლის ასაკში.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის
სახელობის პროფესიული სახელმწიფო
დრამატული თეატრი

LEPL TBILISI SHOTA RUSTAVELI
PROFESSIONAL STATE DRAMA
THEATRE

KA000027959434718

0108 ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 17 ტელ: (99532) 2933818, 2931894, 2996373
17 Rustaveli ave. Tbilisi 0108, Tel: (99532) 2933818, 2931894, 2996373
www.rustavelitheatre.ge E-mail: info@rustavelitheatre.ge

№ 01-04/237

13 / დეკემბერი / 2018 წ.

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 12 იანვარს საქართველოს სახალხო არტისტს, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატს, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქეს, რუსთაველის თეატრის მსახიობს ბატონ გურამ საღარაძეს 90 წელი შეუსრულდებოდა.

ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ გურამ საღარაძე 60 წელი ღირსეულად ემსახურა ქართულ თეატრს და უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული პოეზიის პოპულარიზაციაში, რუსთაველის თეატრი მოგმართავთ თხოვნით, შესაძლებლობის ფარგლებში ქალაქ თბილისის ცენტრში (სასურველია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი) ერთ-ერთ ქუჩას დაარქვათ ბატონ გურამ საღარაძის სახელი.

წინასწარ გიხდით მადლობას და ვიტოვებთ იმედს, რომ ჩვენი თხოვნა უყურადღებოდ არ დარჩება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის
პროფესიული სახელმწიფო დრამატული
თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

რობერტ სტურუა

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032212455**
თარიღი: **04/05/2022**

ქალბატონო ეთერ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში შემოსულია სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რობერტ სტურუას 10/031834817-03 წერილი, ქუჩისთვის გურამ საღარაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

გიგზავნით ხსენებულ წერილსა და შერჩეული ქუჩის სიტუაციურ ნახაზს. გთხოვთ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან გამოითხოვოთ სათანადო წესით მომზადებული რუკა.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032213630**
თარიღი: **16/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის რობერტ სტურუას ინიციატივას დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის გურამ საღარაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით (2022 წლის 4 მაისი საქმე #03-032212455).
გიგზავნით ზემოხსენებულ წერილს და მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ გურამ საღარაძის ქუჩის სიტუაციური ნახაზი დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0122137290**
თარიღი: **17/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 16.05.2022 წლის #03-032213630 (16.05.2022წ. #14-01221361186-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი